საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/22

ქ. ბათუმი 07 ივნისი, 2021 წელი

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოადგინეს ერთობლივი განცხადება (N521312, 04.06.2021 წ), სულ ხელმომწერი 16 წევრი - აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები და სტუდენტები), თანდართული დოკუმენტებით. მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოწვეულიყო და ჩატარებულიყო წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხის განხილვის მიზნით. აღნიშნული წერილობითი მოთხოვნა (მოტივირებული წინადადება) ეფუძნება სხვადასხვა ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ: უნივერსიტეტის შემოსავლების არაეფექტურად მართვა, პანდემიის პერიოდში პირადი კომფორტის მიზნით ძვირადღირებული ავეჯის შეძენა, საწვავის შეუსაბამოდ, საეჭვო რაოდენობით მოხმარება; სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის პროცესის დაყოვნება/შეჩერება; საუნივერსიტეტო მიზნობრივი პროექტების დაფინანსების შეჩერება; პერსონალის გადამზადების/პროფესიული განვითარებისათვის განსაზღვრული დაფინანსების შეჩერება, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები, საქმიანობის პროცესში ეთიკური ნორმების უგულებელყოფა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების - საქმიანობის წლიური ანგარიშის წარმოუდგენლობა, მართვის ორგანოების - აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს - წინაშე ანგარიშვალდებულების უგულებელყოფა).

ერთობლივ განცხადებაში ასევე აღნიშნულია აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, 2021 წლის 1 ივნისს (20:00 სთ-ზე, გადაცემა „მთავარი“) გასული სიუჟეტის საპასუხოდ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შეუფერებელ გამოსვლაზე ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 2 ივნისის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვა საკითხები. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები

უარყოფითად აფასებენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მართვის ორგანოს მიმართ ანგარიშვალდებულების უგულებელყოფას, კერძოდ, მან დემონსტრაციულად დატოვა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა, მიუხედავად წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების დაჟინებული თხოვნისა - მიეღოთ კანცლერისგან განმარტება, გაწეული ხარჯებისა და ფინანსების მართვის მიმართულებით.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების ერთობლივი განცხადების შინაარსს სრულად იზიარებს წარმომადგენლობითი საბჭოს მისამართით ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი განცხადების (N523524, 04.06.2021 წ) ავტორები: ბსუ-ს რექტორის მოადგილეები, ფაკულტეტების დეკანები, დეკანების მოადგილეები, უნივერსიტეტის და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების უფროსები და სხვა პერსონალი.

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს მიერ 2021 წლის 4 ივნისს განისაზღვრა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის თარიღი 2021 წლის 7 ივნისისათვის (14:00 სთ-ზე) და თანახმად წარმომადგენლობით საბჭოს რეგლამენტისა, წერილობით მოწვეული იქნა როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ასევე განმცხადებლები (საკითხის ინიციატორები) და საკითხის განხილვით დაინტერესებული ბსუ-ს მართვის ორგანოები, ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები.

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე გამოცხადებისა და მონაწილეობის მიღების მიზნით წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს მიერ მოწვეული იქნა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი (4 ივნისს გაეგზავნა და ჩაბარდა წერილობითი შეტყობინება პირად და სამსახურებრივ ელ. ფოსტის მისამართებზე, ასევე ბსუ-ს კურიერის საშუალებით - საცხოვრებელ მისამართზე).

წარმომადგენლობითი საბჭოს 7 ივნისის სხდომის გამართვის თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ბსუ-ს ვებგვერდზე (განცხადებების ველში) და ასევე გამოქვეყნდა ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე.

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მისამართით ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამდივნოდან შემოვიდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრების (8 წევრი) ერთობლივი მიმართვა (N525577, 06.06.2021 წ). ისინი იზიარებენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების და ბსუ-ს პერსონალის ერთობლივ განცხადებებში აღნიშნულ მოთხოვნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, იმავე მოტივებით.

ბსუ-ს პერსონალის, სამი სხვადასხვა ჯგუფის (1. წარმომადგენლობით საბჭოს წევრები: 2. ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალი; 3. აკადემიური საბჭოს წევრები) მიერ წარმოდგენილი განცხადებების შინაარსის ანალიზი და წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე მოსმენილი და განხილული მოსაზრებების გათვალისწინებით, წარმომადგენლობით საბჭო, მოწვეული პირები და განმცხადებლები, ერთხმად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, მისი საქმიანობის პროცესში მეტწილად უგულებელყოფილია ბსუ-ს ეთიკის კოდექსის პირველი მუხლის მე-4 პუნქტში

აღნიშნული უნივერსიტეტის საქმიანობის საფუძვლად გაცხადებული 5 ძირითადი ღირებულებიდან ოთხი, კერძოდ: 1. უნივერსიტეტის საქმიანობის მაღალი ხარისხი ადმინისტრაციული საქმიანობის სფეროში („ა“ ქვეპუნქტი); 2. სამართლიანობა - პიროვნების პატივისცემა და მისდამი სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობა. სამართლიანობის პრინციპი საფუძვლად უნდა ედოს უნივერსიტეტში არსებულ სტანდარტებს და პროცედურებს სტუდენტებთან და პერსონალთან მიმართებაში („გ“ ქვეპუნქტი); 3. ანგარიშვალდებულება - მინიჭებული უფლებებისა და დაკისრებული მოვალეობების სრულფასოვანი განხორციელება“ („დ“ ქვეპუნქტი); 4. კეთილსინდისიერება - თითოეული დასაქმებულის მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის პირნათლად და გულისხმიერად შესრულება („ე“ ქვეპუნქტი).

გარდა ზემოაღნიშნულისა, განმცხადებელთა რაოდენობის, მათ მიერ დაკავებული საპასუხისმგებლო თანამდებობების გათვალისწინებით, განცხადებებში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები კითხვის ნიშნებს აჩენს და საეჭვო ხდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მხრიდან ბსუ-ს ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლში აღნიშნული, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ეთიკის სტანდარტების დაცვის საკითხი. ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი („ადმინისტრაცია“) ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას უნივერსიტეტის, როგორც მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებისადმი, უნდა უფრთხილდებოდეს უნივერსიტეტის სახელს და უნივერსიტეტის შენობაში, თუ მის გარეთ, იქცეოდეს უნივერსიტეტის ავტორიტეტისა დაკავებული თანამდებობის შესაფერისად.“

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უგულებელყოფს აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს მიმართ ანგარიშვალდებულების პრინციპს, რაც გათვალისწინებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და შესაბამისად, ბსუ-ს წესდებით. 2021 წლის ივნისის მდგომარეობით ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი არც აკადემიური საბჭოს და მით უფრო, არც წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. ამავე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი პასუხისმგებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე.

ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს („თ“ ქვეპუნქტი).

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 17 მაისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს საბიუჯეტო პროცესების მართვის წესი“ განსაზღვრავს ბსუ-ს

ბიუჯეტის ფორმირებისა და მართვის პრინციპებს, რომელიც მოიცავს ბსუ-ს ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის, დამტკიცების, შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის პროცესს, აგრეთვე უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის საბიუჯეტო ურთიერთობებსა და ვალდებულებებს. ამავე წესის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ,,2. საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 აპრილისა უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციას წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს უნივერსიტეტის კანცლერი."

ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროებში და წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად ,,ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს."

ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტების თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია ,,ბ) წარმომადგენლობითი საბჭოს მოტივირებული გადაწყვეტილება."

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ,,ი" ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია ,,ი) აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით, ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს''.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია წარმომადგენლობითი საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული მოტივირებული გადაწყვეტილება..

ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიურ ანგარიშს (,,თ" ქვეპუნქტი), ხოლო აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით ან საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით (,,ი" ქვეპუნქტი).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისათვის სრულიად გაუგებარია და მეტიც, მიუღებელი იყო 2021 წლის 2 ივნისის სხდომაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

საპასუხო რეაქცია აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, 2021 წლის 1 ივნისს (20:00 სთ-ზე, გადაცემა ,,მთავარი") გასული სიუჟეტზე.

პერსონალის ერთობლივ განცხადებებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მხრიდან ბსუ-ს ეთიკის კოდექსის ნორმების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან ერთად ნახსენებია საქართველოს ბანკსა და უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულების დადების პროცედურაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სავარაუდო ქმედებებზე, რომლებიც დადასტურების შემთხვევაში, შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმომადგენლობითი საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს მასალები გადაიგზავნოს შესაბამის უწყებაში.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა, წარმომადგენლობითი საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს გამოიყენოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებითა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტით მინიჭებული უფლებამოსილება და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მის მიერ ბსუ-ს მართვის ორგანოების მიმართ ანგარიშვალდებულების პრინციპის უგულებელყოფისა და ყოველწლიური ანგარიშის წარმოუდგენლობის მიზეზით მოტივირებული წინადადებით შეუწყვიტოს უფლებამოსილება ვადაზე ადრე (იგი არჩეულია ამ თანამდებობაზე 2019 წლის 24 ივნისიდან 4 წლის ვადით).

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–18 მუხლის, 23-24-ე მუხლების, 72-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შერჩევის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის N06-01/60 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კანდიდატურის დამტკიცების შესახებ" წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 24 ივნისის N07-01/14 გადაწყვეტილების, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების განცხადების (N521312, 04.06.2021 წ), ბსუ-ს ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის განცხადების (N523524, 04.06.2021 წ), აკადემიური საბჭოს წევრების განცხადების (N525577, 06.06.2021), ,,ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის ანაზღაურებადი შვებულების მიცემის შესახებ" ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ -ის 2021 წლის 6 ივნისის N01-14/69 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობისა და შრომითი ურთიერთობის აღდგენის შესახებ" ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ -ის 2021 წლის 7 ივნისის N01-14/70 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N13 გადაწყვეტილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ალექსანდრე მითაიშვილს შეუწყდეს უფლებამოსილება ვადაზე ადრე, 2021 წლის 7 ივნისიდან.
2. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსმა შეასრულოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობა, ბსუ-ს წესდებით დადგენილი წესით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების შედეგების ძალაში შესვლამდე.
3. ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ უზრუნველყოს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით დადგენილ ვადაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევა და წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარმოდგენა.
4. ეთხოვოს რექტორს უზრუნველყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების, ბსუ-ს ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის, ასევე აკადემიური საბჭოს წევრების განცხადებებში აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ შესაბამისი უწყების ინფორმირება (მომზადდეს და გაიგზავნოს შესაბამისი წერილი და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წარმომადგენლობით საბჭოს).
5. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს და ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს.
6. წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დ. ბარათაშვილი**